<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---მარტი 2023 წელი

ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ბესარიონ ქებურიას დასახლების I და III ქუჩების მონაკვეთებისთვის მფრინავის ნინა ხუბულავას სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. სამგორის რაიონში, ბესარიონ ქებურიას დასახლების I და III ქუჩების მონაკვეთებს მიენიჭოს მფრინავის ნინა ხუბულავას სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე


X:494774 Y:4615130
X:494624 Y:4615083
ნინა ხუბულავას ქუჩა
X:494774 Y:4614972
X:494593 Y:4614811
X:494559 Y:4614794
N
1:2,500

ნინა ხუბულავა

(1917-1935)

ერთ-ერთი პირველი ქართველი მფრინავი ქალი.

დაიბადა სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ეკში 1917 წლის 29 ოქტომბერს ხელმოკლე ოჯახში. ოჯახის მეოთხე შვილი იყო. მშობლები მაშინ გარდაეცვალა როდესაც 4 წლისა იყო. მისი უფროსი ძმა ვალია იყო სამხედრო მფრინავი. ეკის შვიდწლიანი სკოლის დამთავრების შემდეგ ძმამ წაიყვანა თბილისში, სადაც სწავლა განაგრძო თბილისის საფაბრიკო-საქარხნო სკოლაში 1930–32 წლებში, შემდგომ იქვე დაიწყო მუშაობა. 1932 წელს ძმის დახმარებით გაემგზავრა რუსეთში და ჩაირიცხა ბატაისკის მფრინავთა კურსებზე, რომლის დამთავრების შემდეგ დაბრუნდა საქართველოში. 1934 წელს დაამთავრა თბილისის აეროკლუბთან შექმნილი საფრენოსნო სკოლა. 1934 წელს, 1 სექტემბერს, ნინა გაბედულად მიუჯდა თვითმფრინავის შტურვალს, განახორციელა პირველი გაფრენა. 1935 წლის 12 ოქტომბერს, მუშა მფრინავების პირველი საზეიმო გამოშვებაზე ნინამ უმღლესი ოსტატობით და სიზუსტით შეასრულა პილოტაჟის ინსტრუქციები. ნინა ასევე გატაცებული ხელბურთით. იყო კარგი ფიზკულტურელი. საავიაციო საქმის პროპაგანდის მიზნით მამაკაც მფრინავ ჯგუფთან ერთად აწყობდა გადაფრენებს საქართველოს რაიონებსა და სოფლებში, პროპაგანდას უწევდა საფრენოსნო საქმეს, რის შედეგად შემოწირულებით ააგეს თვითმფრინავები „ზესტაფონი“, „სამრეწველო კოოპერაცია“, „რაბისი“. 1980 წელს სენაკში, მე-7 საშუალო სკოლის ეზოში, დაიდგა ხუბულავას ბიუსტი, რომლის ავტორები იყვნენ: რ. რუხაძე, გ. დრონოვი და დ. თევდორაძე, ხოლო ინიციატორი იზოლდა ჩიკვაიძე. ნინა ხუბულავა გარდაიცვალა 1935 წლის 27 მაისს, 17 წლის ასაკში. ნინას ცხედარი დასვენებული იყო ავიაკლუბში, გარდაცვალების მიზეზის ოფიციალური ცნობა არ არსებობს. დაკრძალულია ვერის სასაფლაოზე.